პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 16

2016 წ. "08" 07

ქ.თბილისი

შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითსეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვიტარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 404903565) 2016 წლის 8 სექტემბრიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

2. შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №7 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
საბა სარიშვილი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლები საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებელის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპიტი)	მესამე	კრიმინალისტი ფსიქოდაქტილოსკოპისტი III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	კრიმინალისტი ფოტოდაქტილოსკოპიტი	მეოთხე	კრიმინალისტი ფსიქოდაქტილოსკოპისტი IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	კრიმინალისტი ფოტოდაქტილოსკოპიტი	მეხუთე	კრიმინალისტი ფსიქოდაქტილოსკოპისტი V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - ბუღალტერ მოანგარიშე	50
6	ოფისის მენეჯერი	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
7	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	მესამე	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45